ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 090404/10/056

ქ.თბილისი 22 ივლისი 2011 წელი

ქვემო ხელმომწერნი, ერთის მხრივ ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა (შემდეგში წოდებული როგორც „შემსყიდველი“), გამგებლის თ. გრიგალაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ავარიული“ (შემდეგში წოდებული როგორც მიმწოდებელი), დირექტორის შ.ავქოფაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ხახანაშვილის ქუჩა №7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის წინმსწრები დამზღვევი ღონისძიებების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად (CPV კოდი 45454100).

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 ხელშეკრულების ობიექტია ხახანაშვილის ქუჩა №7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის წინმსწრები დამზღვევი ღონისძიებების განხორციელება. შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა მოცემულია დანართში, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4613 (ოთხი ათას ექვსას ცამეტი) ლარს, დღგ-ს, სამუშაოების შესასრულებლად საჭირო სხვა თანმდევი მომსახურებების ღირებულებებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 25 სექტემბრამდე;
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი – ხახანაშვილის ქუჩა №7.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი პირების ხელმოწერით, ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის განმავლობაში;
6.2. შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება როგორც წესი მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის იურიდიულ მისამართზე;
6.3. ანაზღაურების ადგილი ქ.თბილისი.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესრულებული სამუშაოების ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე;
7.2. ინსპექტირებას განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი: ბ. გაზდელიანი-გამგებლის მოადგილე, შ.გრიგოლია-ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი, ა.ნებიერიძე-საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი და გ. გოშაძე-საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
7.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან 2011 წლის 30 სექტემბრამდე.

9. სხვა პირობები

9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

9.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

9.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

9.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

9.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები და ბეჭედი

შემსყიდველი:

ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1
სს „ლიბერთი ბანკის"
ცენტრალური ფილიალი
ა/ა GE95LB 0125152101627000
კოდი LBRTGE22
საიდენტ. კოდი 208204959

გამგებელი

---------- თ. გრიგალაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ავარიული"
მის. ქ.თბილისი, გ. ლეონიძის ქუჩა №7
სს „საქართველოს ბანკი"
ცენტრალური ფილიალი
ა/ა 300 467 351
კოდი BAGAGE22
საიდენტ. კოდი 204 445 519

დირექტორი

---------- შ. ავქოფაშვილი

ხარჯთაღრიცხვა

შემსყიდველი: ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა
მიმწოდებელი შ.პ.ს. „ავარიული
ხელშეკრულების №:090404/10/056

ობიექტის დასახელება: ხახანაშვილის ქ.№7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის წინმსწრები-დამზღვევი ღონისძიებები

№	სამუშაოს დასახელება	განზ-ბა	რ-ბა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	I. წინმსწრები-დამზღვევი ღონისძიებები									
1	ავარიული კედლების დროებითი გამაგრება ხის მიდგმითი გამბრჯენი დოინჯებით	$მ^3$	2	450	900	150	300	12	24	1224
2	დაზიანებული ავარიული კედლების დემონტაჟი	$მ^3$	7,5			16,9	126,75			126,75
3	სამშენებელო ნაგავის გადაადგილება ხელით 15 მ-ზე (75X1.2)	$მ^3$	5,5			15	82,5			82,5
4	სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ხელით ავტოთვითმცლელზე	$მ^3$	5,5			15	82,5	8	44	126,5
5	სამშენებლო ნაგვის გატანა ავტოთვითმცლელით 15 კმ მანძილზე (75X1.85)	$მ^3$	5,5					8	44	44
	დანარიცხები შეზღუდულ პირობებში მუშაობისათვის ხელფასზე და მექანიზმებზე 15%									88,76
	II. წინმსწრები-დამზღვევი (დროებითი) ღონისძიებები									
1	ორმოების ამოთხრა გრუნტის დამუშავება ხელით	$მ^3$	1,4			45	63			63
2	ხის ყალიბის მოწყობა	კვ.მ	7			10	70			70
3	ხე მასალა	$მ^3$	0,28	450	126			250	70	196
4	ბეტონის ჩასხმა ხელით	$მ^3$	1,2	130	156			58	69,6	225,6
5	ხის ყალიბის მოხსნა	კვ.მ	7			5	35			35
6	ტელესკოპიური დგარებით სარდაფის პირველი სართულის გადახურვის და სახურავის დაჭერა ხის ძელებით და წოლანებით	ცალი	12	9,5	114	4	48	0,3	3,6	165,6
7	ხის წოლანები, ძელაკები, შემკრავი ფიცრები და ლარტყები	$მ^3$	0,5	450	202,5	24	10,8	10	4,5	217,8
8	ლითონის და არმატურის სამაგრები	ტ	0	1600,0	64			10	0,4	64,4

9	არსებული დაზიანებული გადახურვის და დახურვის კონსტრუქციების გამაგრება და დაჭერა დემონტირებული კედლების ზონაში ხის კონსტრუქციებით	$მ^3$	0,6			50	27,5			27,5
10	ხის მასალა	$მ^3$	0,6	450	247,5			10	5,5	253
11	დროებითი დოინჯის გამბრჯენების მოხსნა (დემონტაჟი)	$მ^3$	2			30	60			60
	დანარიცხები შეზღუდულ პირობებში მუშაობისათვის ხელფასზე და მექანიზმებზე 15%									47,15
	ჯამი				**1810**		**906,1**		**265,6**	**3117,6**
	ზ.ხარჯები 14%									**436,5**
	ჯამი									**3554**
	გ.დაგროვება 10%									**355,4**
	ჯამი									**3909,4**
	დღგ 18%									**703,7**
	ჯამი									**4613**

შ.პ.ს. „ავარიული“-ს დირექტორი: შ. ავქოფაშვილი